“შეთანხმებულია”

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

დაურ ისმაილოვი

„ვამტკიცებ”

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

ლევან ნ[illegible]ძე

---

30 ოქტომბერი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თენგიზ ნავერიანის სახელობის ტრადიციული, მეთოთხმეტე საკლუბო ჩემპიონატი 2009-2011 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

I ლიგა

მარნეული

2025
28 ნოემბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- კლუბებსა და სპორტსმენებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობის გაღრმავება.
- თენგიზ ნავერიანის სახელის უკვდავყოფა;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს სპორტის სამინისტროსთან და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- I ლიგაში მონაწილეობას იღებენ ის კლუბები, რომლებიც 2025 წელს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ გავიდნენ "ოქროს ლიგაში".

რეგისტრაცია:

- კლუბების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (http://gjf.ge/geo/calendar/georgia) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის კლუბები, რომელთა წარმომადგენლებიც 2025 წლის 21 ნოემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- რეგისტრაციის გარეშე კლუბები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 27 ნოემბერს.
- შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 28 ნოემბერს მარნეულში „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში (ყოფილი ათა-ჰოლდინგის სპორტ. ცენტრი)
- ჩამოსვლის დღე - მარნეული 27 ნოემბერი. წასვლა – 29 ნოემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; +73კგ

აწონვა:

27 ნოემბერი

თბილისი, ძიუდოს აკადემია,

მარნეული, „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში (ყოფილი ათა-ჰოლდინგის სპორტ. ცენტრი)

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

28 ნოემბერი, მხოლოდ მარნეულში.

არაოფიციალური 08.00 – 08.30 საათამდე;

ოფიციალური 08.30 – 09.00 საათამდე;

VI. საპრიზო თანხა

- თენგიზ ნავერიანის სახელობის საკლუბო ჩემპიონატის I ლიგა საპრიზო თანხად განსაზღვრულია 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, რაც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად:

I ადგილი – 10 000 ლარი	V ადგილი – 4 000 ლარი
II ადგილი – 8 000 ლარი	V ადგილი – 4 000 ლარი
III ადგილი – 7 000 ლარი	VII ადგილი – 2 500 ლარი
III ადგილი – 7 000 ლარი	VII ადგილი – 2 500 ლარი

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- საპრიზოდ განსაზღვრული თანხის 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ვალდებულება განაწილდება შემდეგნაირად:
  1. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
  2. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (საშეჯიბრო დარბაზის მოწყობა, სამედიცინო მომსახურება, სტუმრების გამასპინძლება ყავის შესვენების ფორმატს (ყავა, ჩაი, ტკბილეული), ღონისძიების ოფიციალური გახსნა, ღონისძიების ოფიციალური (დაჯილდოვება) და არაოფიციალური (საზეიმო ვახშამი) დახურვა, მსაჯების ხელფასი და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულია შეჯიბრების შეუფერხებელ ჩატარებასთან) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს სპორტის სამინისტროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995322516466;

ელექტრონული მისამართი: **judofedgeo@gmail.com**

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577994407

საკონტაქტო პირი – მამუკა ნავერიანი 551777988

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.

პრეზიდენტი ლევან ნოზაძე